პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 ივლისის N48-4826194115 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე რ.დიდავა

N	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება
	რგ(პ)ფ ფონდის მიერ 2026-2027 წელს დასაფინანსებელი პროექტები	
1	სოფელ ხომულში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	80,857.00
2	სოფელ ცხუნკურში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	778,098.00
3	სოფელ ყუმისთავში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	300,008.00
4	სოფელ ქვიტირში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	247,291.00
5	სოფელ ქვილიშორში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	668,781.00
6	სოფელ ქვედა მესხეთში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1,801,792.00
7	სოფელ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1,153,223.00
8	სოფელ რიონში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	698,937.00
9	სოფელ ოფშკვითში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1,074,995.00
10	სოფელ მაღლაკში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2,726,753.00
11	სოფელ გუმბრაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2,155,020.00
12	სოფელ გეგუთში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	418,864.00
13	სოფელ ბანოჯაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	415,551.00
	ქ. წყალტუბოში გ. ტაბიძის ქუჩის №1, №1ა, №3, №3ა, და №5 ბინების მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	585,913.00
	ქ.წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	576,233.00
	ქ.წყალტუბოში ბესიკის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	669,535.00
	ქ.წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	820,868.00
	ქ.წყალტუბოში რუსთაველის ქუჩაზე (სასტუმრო პრომეთეს მიმდებარედ) არსებულ მოედანზე, უსაფრთხოების კუნძულების, სარწყავი სისტემის და ქუჩის საათის მოწყობის სამუშაოები	580,625.00
	ჯამი	15,753,344.00

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826194115**
თარიღი: **13/07/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, გიგზავნით 2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის მიერ დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების ნუსხას (დანართი თან ერთვის).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილული და მოწონებული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, რიგგარეშე სხდომაზე. პროექტები გაექსპერტებულია.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge